სიტუაციური მიმოხილვა

პერსონალური ინფორმაციის დაცვა, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლება

სიტუაციური მიმოხილვა მომზადდა პროექტის "პერსონალური ინფორმაციის დაცვა, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლება" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI, ქალთა ფონდი საქართველოში ფინანსური მხარდაჭერით.

სიტუაციური მიმოხილვა მოამზადა მოწვეულმა კონსულტანტმა - სოფი ბერიამ, ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI-ს მხარდაჭერით.

„ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI"

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს ქალთა ფონდი საქართველოში ოფიციალურ პოზიციას.

მოკლედ პროექტის შესახებ:

ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI „ქალთა ფონდი საქართველში“ მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „პერსონალური ინფორმაცია, როგორც სექსუალური და რეპროდუქციული უფლება“, რომლის მიზანია ონლაინ სივრცისა და მობილური კომუნიკაციის გამოყენებით გოგონების მიმართ სექსუალური შევიწროებისა და სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულების პრევენციის ხელშეწყობა პერსონალური ინფორმაციის, როგორც ერთ-ერთი სექსუალური და რეპროდუქციული უფლების დაცვაზე ცნობიერების ამაღლებისა და ანგარიშვალდებული ინსტიტუტების ჩართულობის გაზრდის გზით.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა თანასწორგანმანათლებელთა ტრენინგები 3 რეგიონის 4 ქალაქში: თელავი, საგარეჯო, ზუგდიდი და ახალციხე. 2 დღიანი ტრენინგი მოიცავდა თეორიულ პრეზენტაციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს გენდერული სტერეოტიპების, ჯანსაღი ურთიერთობების, გენდერული ძალადობის, თანხმობის, მსხვერპლის მხარდაჭერისა და პერსონალური მონაცემების საკითხების შესახებ. ტრენინგის ნაწილი დაეთმო ვორქშოპს, რომლის დროსაც მონაწილეებმა თავად შექმნეს გამოგონილი ისტორიები ონლაინ სივრცისა და მობილური კომუნიკაციის გამოყენებით სექსუალური შევიწროების, ასევე პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე. მონაწილეებმა ისტორიები გამოსახეს ნახატებით. პროექტის შემდეგ ეტაპზე, ისტორიებისა და ნახატების გამოყენებით შეიქმნა ანიმაციური ვიდეოები, რომლებიც გავრცელდა სოციალურ მედიაში.ტრენინგებს შეუერთდა 80 ახალგაზრდა 14-24 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან, ხოლო სოციალურ მედიაში გაშვებულმა კამპანიამ 20 000 ინტერნეტ მომხმარებელის მიაწვდინა ხმა.

სიტუაციური მიმოხილვის მიზანი:

მიმოხილვა ასახავს როგორც პროექტის ფარგლებში გამოკვეთილ ძირითად ტენდენციებს, ისე საკითხის კომპლექსურ ანალიზს, მათ შორის:

- ონლაინ სივრცისა და მობილური კომუნიკაციის გამოყენებით გოგონათა მიმართ სექსუალური შევიწროების, ან სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულების სტატისტიკას;

- მიმოიხილავს ამ კუთხით არსებულ პოლიტიკასა და რეგულაციებს;
-ასნის სოციალურ კონტექსტს;

- დააკავშირებს საკითხს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფელბებთან;

- და ბოლოს, წარადგენს პოლიტიკის რეკომენდაციებს და რეკომენდაციებს სხვადასხვა ჩართული მხარესთვის.

ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შევქმენით ინფოგრაფიკა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ცნობიერების ამაღლებისა და საადვოკაციო მიზნებისათვის.

პერსონალური მონაცემების განმარტება:

საქართველოს კანონი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ პერსონალურ მონაცემებს განმარტავს, როგორც ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომლის მეშვეობითაც ადამიანის იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.

ეს მოიაზრებს: პირის სახელსა და გვარს, პირად ნომერს, ფოტო და ვიდეო ჩანაწერებს, ელექტრონული ფოსტის მისამართს, საბანკო ანგარიშის ნომერს, სოციალური ქსელის ანგარიშს და პირად მიმოწერას.

არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც, რომლებიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ, ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიული კავშირის წევრობასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სექსუალურ ცხოვრებასთან და სხვა.

განსაკუთრებულ კატეგორიაში შედის, ასევე, ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს „ჩვეულებრივი“ მონაცემებისგან ის განასხვავებს, რომ კანონით მათი დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტია დაწესებული და წესების დარღვევის შემთხვევაში სანქციაც უფრო მკაცრია.1

სოციალური კონტექსტი პერსონალური ინფორმაციის დაცვა ადამიანის უფლებებისა და სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების ჭრილში:

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საზოგადოება უფრო მეტად ალაპარაკდა ონალინ სივრცეებში ახალგაზრდების მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების, ბულინგისა და დაშანტაჟების თემებზე.

სამწუხაროდ, საკითხი ყოველ ჯერზე მასტიგმატიზირებლად განიხილება და როგორც წესი, მსხვერპლის დადანაშაულებით მთავრდება. გვახსენდება არა ერთი შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებულ ამ სახის დანაშაულებს მცირე, ან არანაირი რეაგირება არ მოყოლია სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების მხრიდან, რამაც არასრულწლოვანი გოგონების თვითმკვლელობა ან თვითმკვლელობის მცდელობა გამოიწვია.

თავად ამ ფაქტს კი მედია პირადი ინფორმაციის აბსოლუტური დარღვევით აშუქებდა, მსხვერპლის ფოტოებისა და ხშირად, საიდენტიფიკაციო მონაცემების (მისამართი, სკოლა) ხსენებით.სექსუალური ხასიათის სურათები, ვიდეოები და მიმოწერა პირდაპირ ჯდება განსაკუთრებული მონაცემების კატეგორიაში; პირველ რიგში იმიტომ, რომ სექსუალური ხასიათისაა და გარდა ამისა, პოტენციურად (უმეტეს შემთხვევაში) პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. მსგავსი ინფორმაციის გავრცელება პირდაპირ აზიანებს მსხვერპლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ ჯანმრთელობას, რაც საკითხის დამატებით ჭრილში განხილვის საშუალებას იძლევა.

1. https://personaldata.ge/ka/ra-aris-personaluri-monacemebi

მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური ხასიათის პირადი ინფორმაცია გენდერულ და სექსუალური და რეპროდუქციული უფლების ჭრილში განვიხილოთ, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მსხვერპლები ახალგაზრდა, არასრულწლოვანი გოგონები ხდებიან.

სექსუალური შევიწროება, თავისთავად ახალი ცნება არ არის, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით მან ახალი აუდიტორია და მთელი რიგი ახალი სამიზნე ობიექტები შეიძინა (ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ ბიჭები არ შეიძლება გახდნენ სამიზნე ობიექტები, მეტიც - ახალგაზრდა, გეი, ან ტრანსგენდერი ბიჭები უფრო მეტი ალბათობით შეიძლება გახდნენ ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური ონლაინ შევიწროების მსხვერპლები).

ფართო საზოგადოების დამოკიდებულება ცალსახად ქვეყანაში გავრცელებული სოციო-კულტურული კონტექსტითაა განპირობებული, რომელიც არ აღიარებს ქალის სექსუალურ დამოუკიდებლობას. ეს სტიგმა და სტერეოტიპები კი ყველაზე მეტად ახალგაზრდა გოგონებზე ვრცელდება, განსაკუთრებით, თუ ისინი მარგინალიზებული, ან მწირი შესაძლებლობების მქონე ჯგუფის წევრებიც არიან (რეგიონიდან, სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვთ, ან ეთნიკურ-რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ). სექსუალური ხასიათის პირადი ინფრომაციის გავრცელების მთავარი მიზანი მსხვერპლის "დამცირებაა", რაც მხოლოდ პატრიარქალურ, უაღრესად ტრადიციულ და კონსერვატიულ საზოგადოებებში მუშაობს, სადაც ქალის სექსუალობა ავტომატურად სტიგმატიზირებული და დათრგუნულია.

ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეცვლა, ცნობიერების ამაღლება და დისკუსიაში ბიჭებისა და კაცების ჩართვა, რათა მომავალში შევამციროთ გოგონათა თვითმკვლელობების რიცხვი უნებართვოდ გავრცელებული სექსუალობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამო.

კანონმდებლობა და რეგულაციები საქართველოში:

ონლაინ სივრცეში გოგონათა მიმართ სექსუალური შევიწროების, ან სხვა სახის დანაშაულების სტატისტიკის მოგროვება საქართველოში რთულია. პროექტის ფარგლებში დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატს, პირადი მონაცემების დაცვის სააგენტოსა და საქართველოს პროკურატურას, საიდანაც პასუხად მივიღეთ, რომ ისინი ამ სახის ინფორმაციას არ ამუშავებდნენ, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაამატა, რომ მსგავსი სტატისტიკის წარმოება მათ მანდატში არ შედის.

მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, იძულებულები ვართ დავასკვნათ, რომ მსგავსი სტატისტიკა საქართველოში ან არ არსებობს, ან მოპოვება რთულია, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის საკითხის ძირეულ ანალიზსა და მის პრევენციას.

საქართველოს კანონმდებლობით ონლაინ შევიწროების აღსაკვეთად პირდაპირი კანონმდებლობა არ გვაქვს, თუმცა, ირიბად ნახსენებია რამდენიმე კანონში, რომლებიც სამართალდამცავებს შესაძლებლობას აძლევს დანაშაული აღკვეთონ: საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ - მოქმედებს 2012 წლის 1 მაისიდან, თუმცა, ნაკლად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის, რომ არ მახვილდება ყურადღება ახალგაზრდებზე და არ სახელდება ბერკეტები იმის შესახებ, რომ პასუხისმგებელი პირი ნამდვილად გაანადგურებს ინფორმაციას სუბიექტის მოთხოვნით.

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, სადაც საუბარია არასრულწლოვანთა მაკომპრომატირებელი მასალის საჯარო გავრცელებასა და პორნოგრაფიაზე;

- საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ, სადაც საუბარია გენდერულად განპირობებულ დანაშაულზე, შანტაჟზე და სექსუალურ შევიწროებაზე;

- საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, სადაც საუბარია ქალის დამაცირებელი ქცევის, შანტაჟისა და ძალადობის აღკვეთაზე;

-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სადაც ყურადღება მახვილდება ადევნების აღკვეთაზე.

არსებული პრაქტიკა მსოფლიოში:

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ღიად საუბრობს ინტერნეტ სივრცეში განხორციელებულ დანაშაულებზე და უფრო კონკრეტულად სექსუალურ შევიწროებაზე, ადევნებასა და პირადი სახის ინფორმაციის გასაჯაროვებაზე, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს რეგულაციები, რომლებიც კონკრეტულად ამ პრობლემებს უკავშირდება.

ესენია: არგენტინა, ავსტრალია, კამერუნი, კანადა, ჩილე, კოლუმბია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ინდოეთი, ისრაელი, იაპონია, კენია, მალავი, მექსიკა, ახალი ზელანდია, ფილიპინები, პორტუგალია, პუერტო რიკო, შოტლანდია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ესპანეთი, უგანდა, ურუგვაი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის 38 შტატი.2

მნიშვნელოვანი ფაქტები: შურისძიების მიზნით გავრცელებული სექსუალური შინაარსის ფოტოები და ვიდეოები კრიმინალურ დანაშაულად ითვლება. ბევრ ქვეყანაში ინტერნეტში გავრცელებული არასრულწლოვნების სურათები, ვიდეოები და/ან მიმოწერა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის კანონითაა აღკვეთილი.

ავსტრალია და ამერიკა არასრულწლოვანთან სექსუალურ დანაშაულში მხილებულთა საჯარო რეესტრს აწარმოებს, სადაც დამნაშავეები ვალდებულები არიან მუდმივად განაახლონ პირადი სახის ინფორმაცია, პერიოდულ შემოწმებებზე იარონ სამართალდამცავ პირებთან. ამ ინდივიდებს ქვეყნის დატოვება სპეციალური ავტორიზაციის გარეშე არ შეუძლიათ.

კანადამ 2014 წელს შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ონლაინ სივრცეში ჩადენილი დანაშაულები, როგორებიცაა კიბერბულინგი, სხვის კომპიუტერში შეღწევა და თანხმობის გარეშე გასაჯაროვებული პირადი ინფორმაციის, სექსუალური ხასიათის შემცველი ინფრომაციის ჩათვლით, კრიმინალური კოდექსით გახდა დასჯადი.

ისრაელში მოქმედებს კანონები სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ და პირადი ინფორმაციის დაცვის შესახებ. ორივე მათგანი ახსენებს სხვისი სურათების თანხმობის გარეშე გავრცელებას, როგორც დასჯად ქმედებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, 2009 წლის ანტი-ფოტო და/ან ვოიერისტული აქტი ფილიპინებში, რომელიც ამ ყველაფრის კრიმინალიზებას ახდენს. ფილიპინებში კრიმინალიზებულია კიბერსექსიც.

შოტლანდია გამკაცრებულ ზომებს უყენებს პარტნიორებს, ან ყოფილ პარტნიორებს, რომლებიც ადამიანის ინტიმურ სურათებს, ან ვიდეოებს თანხმობის გარეშე გაასაჯაროვებენ .

აშშ-ს ამ თემაზე საერთო ფედერალური კანონი არ აქვს, მაგრამ 38 შტატზე მეტს აქვს რეგულაცია, რომელიც მსგავს ქმედებას დასჯადს ხდის.

---

2. https://www.internetlab.org.br/en/inequalities-and-identities/how-do-countries-fight-the-non-consensual-dissemination-of-intimate-images/

რა შეგვიძლია ვთქვათ სხვა ქვეყნებზე? ის ქვეყნები, რომლებსაც კონკრეტული კანონები არ გააჩნიათ ამ თემასთან საბრძოლველად, უკვე არსებულ რეგულაციებს იყენებენ, მაგალითად კანონს ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის შესახებ, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ, კანონს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, და სხვა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ქვეყნები კიბერ დანაშაულს და სექსუალური ხასიათის ინფორმაციის გავრცელებას გენდერული ძალადობის სახედ თვლიან. თუმცა, პრობლემაა, რომ კანონების უმეტესობა არანაირ სანქციას არ უწესებს იმ პლატფორმებს, რომელებიც ამ სახის პირადი ინფორმაციის გავრცელებას უწყობენ ხელს.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ანტიპორნოგრაფიული და ანტი-ვულგარული კანონების არსებობა (მალავი, უგანდა, იაპონია, გაერთიანებული სამეფო) ზრდის იმის რისკებს, რომ მსგავს სიტუაციაში აღმოჩენილი მსხვერპლები არ გახდნენ დასჯის ობიექტები, მათი დახმარების ნაცვლად, რაც სავსებით რეალურია, როდესაც კონკრეტული სახის სექსუალური აქტივობის კრიმინალიზებას ვახდენთ.

პოლიტიკის რეკომენდაციები და საადვოკაციო მესიჯები:

მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციისათვის:

- ჩატარდეს ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები, შეხვედრები და არაფორმალური ტრენინგები როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის (მანდატურების ჩათვლით), რომლის ფარგლებშიც პირები კვალიფიციური კადრების მიერ გადამზადდებიან გენდერის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, სექსუალური შევიწროების, თანხმობისა და უსაფრთხოების თემებზე.

- უზრუნველყოს სკოლასა და ოჯახს შორის მუდმივი ინფორმაციის გაცვლა, რათა მშობლები აღმკვეთი ღონისძიების აქტიური მონაწილეები იყვნენ.

- შემუშავდეს რეაგირების ფორმალური პროცედურა, რომელიც ცნობილი იქნება ყველა მოსწავლის, მშობლისა და სკოლის პერსონალისთვის (მანდატურის სამსახურის ჩათვლით).

მშობლებისა და მეურვეებისთვის:

- იყავით ღია, გამგები და გახსნილი პირადი ინფორმაციის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებთან დაკავშირებით.

- ესაუბრეთ შვილებს ციფრული უსაფრთხოების თემებზე განსჯის, სტიგმისა და სტერეოტიპების გარეშე და გქონდეთ ბავშვის კეთილდღობაზე მორგებული მიდგომა.

-თუ შვილი გეუბნებათ, რომ შანტაჟის, მუქარის, ან სექსუალური შევიწროების მსხვერპლია, დაამშვიდეთ, უთხარით, რომ ეს მისი ბრალი არ არის და დაუკავშირდით სამართალდამცავებს.

- დაიცავით სოციალური მედიის შიდაგანაწესი - არ დასვათ 13 წელს მიუღწეველი მოზარდი სოციალურ მედიასთან მეთვალყურეობის გარეშე.

- ასევე, არ დადოთ თქვენი არასრულწლოვანი შვილების მაკომპრომატირებელი და პირადი ინფრომაციის შემცველი სურათები ღია პროფილზე. ამით დაიცავთ თქვენი შვილის პირადი ცხოვრების ქონის უფლებას.

პოლიტიკის რეკომენდაციები და საადვოკაციო მესიჯები:

გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის:

- შემუშავდეს პოლიტიკა არასრუწლოვანების და ახალგაზრდების პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ;

- მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტრუმენტებმა აიღონ პასუხისმგებლობა, შექმნან და გააძლიერონ ონლაინ სივრცისა და მობილური კომუნიკაციის გამოყენებით გოგონების მიმართ სექსუალური შევიწროებისა და სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულების პრევენციის მექანიზმები;

- აუცილებელია შესაბამისი გენდერულად სენსიტიური სტატისტიკის წარმოება და ამ უკანასკნელზე საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- მნიშვნელოვანია პრევენციის, რეაგირებისა და რეაბილიტაციის პროცესში სრულფასოვნად ჩართულნი იყვნენ: საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლა, უნივერსიტეტი, კოლეჯი) და პერსონალი (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მანდატურები), მშობლები, მეურვეები და ოჯახის წევრები, ახალგაზრდები, სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, რელიგიური დაწესებულებების წარმომადგენლები და თემის ლიდერები;

- ხელი შეეწყოს ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების განხორციელებას განათლების სამინისტროსთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით, რომლებიც კონკრეტულად ონლაინ სივრცეში ახალგაზრდების უსაფრთხოებას შეეხება.

- საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, საკმარისი საეთერო სივრცე დაეთმოს ამ კამპანიების გაშუქებას.

- აუცილებელია შეიქმნას და გაძლიერედეს ინსტიტუციური და სოციალური დახმარების სერვისები, იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარების ჩათვლით, რომლებიც მსხვერპლებს უფასოდ მოემსახურება;

ახალგაზრდებისათვის:

- დაიცავი შენი ონლაინ პროფილი უცხო პირებისგან, მაქსიმალურად გამოიყენე უსაფრთხოების პარამეტრები.

- არ წაშალო მუქარის შემცველი მიმოწერა, წერილები და სურათები. ყველაფერი ეს გამოძიებისას გამოგადგება.

-მიმართე ადამიანს, რომელსაც ენდობი და გაუზიარე გამოცდილება.
- იცოდე, ამ სიტუაციაში მარტო არ ხარ და რაც არ უნდა მოხდეს, ეს შენი ბრალი არ არის.

- ისწავლე როგორ ამოიცნო სექსუალური შევიწროება ონლაინ და ოფლაინ სივრცეში.



პოლიტიკის რეკომენდაციები და საადვოკაციო მესიჯები:

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის:

- გაიზარდოს ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროექტები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ახალგაზრდა გოგონებს ეხება.

- მნიშვნელოვანია კოალიციური, კოორდინირებული მუშაობა და ადვოკატირების გაძლიერება ამ მიმართულებით.

- გაძლიერდეს გამოცდილების გაზიარების პროცესი საქართველოში და და საზღვარგარეთ არსებულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის

პროექტის ფარგლებში, ტრენინგის მონაწილეებმა შექმნეს ფიქციური სცენარები და ნახატები. სცენარების გამოყენებით მომზადდა ანიმაციური ვიდეოები. დოკუმენტში გამოყენებული ნახატების კონცეფცია შექმნილია ტრენინგების მონაწილეების მიერ!

ვიდეობის სანახავად გთხოვთ ესტუმროთ ორგანიზაციის Facebook გვერდს:
ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI/Center for Youth Development - XXI



კონტაქტი და სოციალური მედია:

ა(ა)იპ ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI
მამისაშვილის #47, 3800, ქ. საგარეჯო
cydxxi@gmail.com
+995 555 55 63 08
Facebook: ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი - XXI